



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
**წიალის ეროვნული სააგენტო**



KA020126338485420

თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ფაქსი: +995 32 243 95 02

**ბრძანება № 934/ს**

24 / აგვისტო / 2020 წ.

**„შპს „სპექტრი - 7“-ზე (ს/კ 206099381) გაცემული წიალით სარგებლობის (00449) ლიცენზიის გაუქმების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ სსიპ წიალის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2020 წლის 24 ივლისის N828/ს ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, მე-100 მუხლის მე-4 ნაწილისა და სსიპ წიალის ეროვნული სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსის 2020 წლის 20 აგვისტოს N1508 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. „შპს „სპექტრი-7“-ზე (ს/კ 206099381) გაცემული წიალით სარგებლობის (00449) ლიცენზიის გაუქმების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ სსიპ წიალის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2020 წლის 25 ივლისის N828/ს ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების მეხუთე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ღია სხდომაზე ზეპირი მოსმენა დაინიშნოს **2020 წლის 07 სექტემბერს 12:00 საათზე** სსიპ წიალის ეროვნულ სააგენტოში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. N 150) და წინადადება მიეცეთ ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე მხარეებს უშუალოდ ან კანონმდებლობით დადგენილი წესით წარმომადგენლობის უფლებით აღჭურვილი პირის მეშვეობით მონაწილეობა მიიღონ ზეპირ მოსმენაში დაინიშნულ დროს.

2. ღია სხდომაზე ზეპირი მოსმენის თარიღის ცვლილების თაობაზე დაუყოვნებლივ ეცნობოს დაინტერესებულ მხარეს - შპს „სპექტრი-7“-ს;

3. ბრძანება ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება და იგი შეიძლება გასაჩივრდეს ადმინისტრაციული წარმოების საკითხზე მიღებულ საბოლოო გადაწყვეტილებასთან ერთად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. N2) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში

სსიპ წიალის ეროვნული სააგენტოს უფროსის  
მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/  
შტამგადასმულია  
ელემენტორულად

ნანა ზამთარაძე